ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული "თელავის ხევი"-ს
რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

თბილისი, საქართველო
იანვარი, 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ქ.თელავში და ითვალისწინებს ქალაქის ცენტრში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე გამავალი თელავის ხევისა (რ/ბეტონის მოპირკეთებული არხი) და მის გასწვრივ ორივე მხარეს ტროტუარების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობას.

არხი მთელ სიგრძეზე ამორტიზებულია, დაზიანებულია რ/ბეტონის ფსკერი, გვერდულები და კედლები, რაც იწვევს კალაპოტიდან წყლის ინფილტრაციას, მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა/დაჭაობებას და შესაბამისად მოსახლეობის უკმაყოფილებას. მოპირკეთებულ კალაპოტს არ გააჩნია მოაჯირები, რის გამოც ხშირია უბედური შემთხვევები. ასევე, მოუწესრიგებელია კალაპოტის შიგნით გვერდულებზე შეკიდული გაზისა და წყლის მილგაყვანილობა. ამასთანავე, არხი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, რაც მოსახლეობის წუხილს იწვევს. მოცემული ქვე-პროექტი დააფინანსებს თელავის არხის რეაბილიტაციას და ქალაქის ცენტრალურ უბანზე გამავალი არხის მონაკვეთის მიმდებარე ზოლის მოწესრიგებას.

ჩასატარებელი სამუშაოების ტიპის მიხედვით პროექტი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს (იხილეთ დანართი 1) . ტერიტორია 1-ის ფარგლებში დაგეგმილია არხის რეაბილიტაცია (კედლების და ფსკერის აღდგენა). ტერიტორია 2-ის საზღვრებში (ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მონაკვეთი) - არხის რეაბილიტაციის პარალელურად მოხდება საინჟინრო კონსტრუქციების გადატანა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანება, ორი თაღოვანი მცირე ზომის ხიდის მოწყობა და წყაროს რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოები მოიცავს:

a. „თელავის ხევი“-ს კალაპოტის გაწმენდას ნაგვისგან;
b. რკინაბეტონის ფსკერის, გვერდულების და კედლების აღდგენას;
c. მოაჯირების მოწყობას ხევის ორივე მხარეს ჭავჭავაძის გამზირის კვეთიდან სამხრეთით, ერეკლე II-ის გამზირამდე;
d. გვერდულებზე შეკიდული კომუნიკაციების (გაზის, წყალმომარაგების მილები და ელ.კაბელები) გადატანას;
e. ამავე მონაკვეთზე ფეხით მოსიარულეთა სივრცის (გაზონი, ტროტუარი, განათება) მოწესრიგებას, მოსასვენებელი ადგილების შექმნას - 24 ცალი მოსასვენებელი სკამის და 20 ერთეული ნაგვის ურნის დადგმას, შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის 10 პანდუსის; სასმელი წყლის 2 შადრევნის მოწყობას; ორივე სანაპიროზე 20 მეტრის ინტერვალით ორნათურიანი ელექტრო განათების ბოძების მონტაჟს;
f. ტროტუარებზე კომუნიკაციების გადატანის სამუშაოების დასრულების შემდეგ ასფალტის დაგებას;
g. სანაპიროზე, საკაძის ქუჩის მხრიდან არსებული წყაროს (იორდანეს წყარო) რეკონსტრუქციას. მოხდება არსებული წყაროს დემონტაჟი, აშენდება და გადაიხურება ქართული კრამიტით მცირე არქიტექტურული ფორმა;
h. არსებული საცალფეხო ხიდის დემონტაჟის შემდეგ, ორი მცირე თაღოვანი რკინაბეტონის ხიდის მოწყობას, (ერთი უშუალოდ განთავსდება წყაროსთან, მეორე - მისგან ჩრდილოეთით 60 მეტრის დაშორებით).

(ა) ზემოქმედების იდენტიფიკაცია

ახდენს თუ არა პროექტი საგრძნობ ზემოქმედებას გარემოზე?	პროექტს ექნება დადებითი ზემოქმედება გარემოზე.
რაში მდგომარეობს პროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და არასასურველი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტის დადებით ეფექტს წარმოადგენს: • არხის გაწმენდა-მოწესრიგების შედეგად ინფილტრაციას, დატბორვის და დაჭაობების რისკის შემცირება; • სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და მოსახელობის სუნით გამოწვეულ დისკომფორტის მოხსნა; • არხის დაბინძურებით გამოწვეული ვიზუალური ზემოქმედების შემცირება; • მოაჯირის მოწყობის შედეგად უსაფრთხოების რისკის გამორიცხვა; • კომუნიკაციების გადატანის შედეგად საიტის ვიზუალური იერსახის გაუმჯობესება; • კომუნიკაციების განახლება; • მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის შექმნა; • ტურისტებისთვის და ადგილობრივებისთვის დამატებითი რეკრეაციული ზონის შექმნა და ტერიტორიის მიმზიდველობის გაზრდა. ქვე-პროექტის პოტენციურ რისკებს წარმოადგენს: • ინერტული მასალის მოპოვების წყაროების არასწორად შერჩევა და კარიერების არესათანადო ოპერირება; • სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვა სამუშაოების წარმოებისას სამუშაოს არასწორი დაგეგმვის, მასალის/ნარჩენების არასათანადოდ დასაწყობების და ტრანსპორტის მოძრაობის არასათანადო მართვის შედეგად; • ხმაური, მტვერი და გამონაბოლქვი სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს; • წყლის, გაზის მიწოდების შეფერხება კომუნიკაციების გადატანის პერიოდში; • ნარჩენების არასათანადო მართვის და ტექნიკის გაუმართავობის შემთხვევაში საწვავის/ზეთის დაღვრის შედეგად ტერიტორიის დაბინძურება; • ფეხით მოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა; • არხისპირა მცენარეული საფარის დაზიანება.
ექნება თუ არა პროექტს რაიმე სახის მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე და სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე?	ქვე-პროექტს ექნება დადებითი სოციალური ზემოქმედება, რაც მდგომარეობს: • უსაფრთხოების, სანიტარული მდგომარეობის და ტერიტორიის ესთეტური იერსახის გაუმჯობესებაში; • შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის შექმნაში; • ტურისტებისთვის და ადგილობრივებისთვის დამატებითი რეკრეაციული ზონის შექმნაში და ტერიტორიის მიმზიდველობის გაზრდაში

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

იყო თუ არა სხვა რომელიმე ალტერნატივა განხილული პროექტის პროექტირებისას?	ქვე-პროექტის მიზანს წარმოადგენს თელავის ურბანული ზონის ნაწილის მოწესრიგება - შესაბამისად, ადგილმდებარეობის ალტერნატივა განხილული არ ყოფილა. ტექნიკური ალტერნატივების სახით განხილულ იქნა მშრალი წესით ბეტონის დაგება და ბეტონის დასხმა.
რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომების არის შემოთავაზებული?	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე შეიძლება ადვილად იქნას შემსუბუქებული სამშენებლო სამუშაოების და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სათანადო დაგეგმვით და მართვით (მიღებულ პრაქტიკის, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის/ რეგულაციების და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების გათვალისწინებით). კონტრაქტორი პასუხისმგებელია: • გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან/ლიცენზირებული კარიერიდან მოპოვებული ინერტული მასალა, • აწარმოოს სამუშაოები არხში წყალმცირობის დროს; • უზრუნველყოს წყალმცირობის დროს არხში წყლის მცირე ნაკადის (არსებობის შემთხვევაში) გადაგდება სამუშაო ტერიტორიიდან (გოფრირებული მილის გამოყენებით); • უზრუნველყოს წყლის და ნიადაგის დაბინძურებისგან დაცვა (მაგ. დანაგვიანება, საწვავის/ზეთის დაღვრა აღჭურვილობის გაუმართაობის გამო, სხვ), არ დაუშვას დაზიანებული ტექნიკა სამუშაო უბანზე; • სათანადოდ დაგეგმოს სამუშაოები/მასალის მოწოდება რათა თავიდან აიცილოს მოსახლეობის შეწუხება (ხმაური, გამონაბოლქვები, მტვერი), და ტერიტორიაზე ჭარბი მასალის დაგროვების შედეგად თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა; • უზრუნველყოს მანქანების და სამშენებლო ტექნიკის გამართულობა; • მართოს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ობიექტის გარეთ ფონურ სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედების შესამცირებლად; • კონტროლი გაუწიოს მტვერს, ხმაურს და ა.შ. და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს მათი კონტროლის/შემცირების საშუალებები, დაიცვას მუშაობის საათები; • უზრუნველყოს ნარჩენების ტერიტორიიდან რეგულარული გატანა შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე; • უზრუნველყოს ფხვიერი/ფანტვადი მასალის/ნარჩენების ტრანსპორტირება დახურულ ძარიანი მანქანით; • მაქსიმალურად შეინარჩუნოს მცენარეული საფარი; • მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია კომუნალური სერვისების (წყალმომარაგების, გაზმომარაგების, სხვ) მიწოდების შეზღუდვის დროის და ხანგრძლივობის შესახებ.
მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილების ასახვა მოხდა პროექტის პროექტში?	მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო ქვე-პროექტების განხორციელებაში.

	თემი ინფორმირებული იქნება დაგეგმილი საქმიანობისა და გრაფიკის შესახებ.
პროექტის მომზადებისას იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები და იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ გათვალისწინებული?	ქვე-პროექტი შემუშავდა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან კონსულტაციების შედეგად, არსებულ სიტუაციაზე რეაგირების მიზნით. ქვე- პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა განხილული იქნა საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ქ. თელავში, 2015 წლის 21 იანვარს.

(გ) კლასიფიკაცია

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (OP 4.01) თანახმად პროექტი კლასიფიცირებულია B კატეგორიად და საჭიროებს მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას.

სოციალური სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ	**დიახ**	**არა**
1	ინფორმაცია პროექტის ობიექტის მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓[1]	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓[2]
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა დამხმარე სათავსოები, ღობეები, არხები, ბეღლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები და ა.შ.) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად**			

[1] მთელი ტერიტორია მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს, ერთი ნაკვეთი (რეგისტრაციის ნომერი 532045080) იჯარით არის გაცმული. იჯარის ვადა იწურება 3.06.2015. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2).

[2] კომუნიკაციების დემონტაჟის და გადატანის პროცესში მოხდება მომსახურების დროებითი შეზღუდვა. მოსახლეობს ინფორმირებული იქნება შეზღუდვის დროის და ხანგრძლივობის შესახებ.

ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და ობიექტის შესახებ

ინსტიტუციური & ადმინისტრაციული	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული "თელავის ხევი"-ს რეაბილიტაცია
ქვე-პროექტის დასახელება	

ობიექტზე განსახორციელებელი საქმიანობის აღწერა	სამუშაოს მიზანია თელავის არხის სრული რეაბილიტაცია და ქალაქის ცენტრალურ უბანზე გამავალი მონაკვეთის მიმდებარე ზოლის მოწესრიგება.
	
	უფრო კონკრეტულად, ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების ჩატარებას:
	• 1809 მეტრი სიგრძის „თელავის ხევი“-ს კალაპოტის გაწმენდას ნაგვისგან.
	• კალაპოტის სრული რეაბილიტაციას (რკინაბეტონის ფსკერის, გვერდულების და კედლების აღდგენა) - კალაპოტის ფსკერის ბრტყელი ნაწილის დემონტაჟს (ჭავჭავაძის გამზირიდან, სამხრეთით - 809 გრძივი მეტრის მანძილზე) და ტერიტორიიდან გატანას შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე;
	• ჭავჭავაძის გამზირის კვეთიდან სამხრეთით, ერეკლე II-ის გამზირამდე კალაპოტში არსებული კომუნიკაციების დემონტაჟს-გადატანას:
	  ○ 320 მმ გაზის მილების და მათი თაროები დემონტაჟს (პროექტი არ ითვალისწინებს მოქმედი გაზსადენის გადატანას სხვა ადგილას, ნავარაუდევია მხოლოდ არსებული ყოფილი თბოქსელის დემონტაჟი);
	  ○ მაღალი ძაბვის კაბელის დემონტაჟს „თელავის ხევი“-ს კალაპოტიდან და ახალი კაბელის მონტაჟს თელავის ენერგოპროს მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით;
	  ○ „თელავის ხევი“-ს კალაპოტის კედლებზე დამაგრებული სასმელი წყლის სხვადასხვა კვეთის მილების სრულ დემონტაჟს; სააკაძის ქუჩაზე, ხევის მარჯვენა სანაპიროს საფეხმავლო ტროტუარზე, 70 სმ სიღრმის და 60 სმ სიგანის არხის გაჭრას და ახალი მაგისტრალური მილის (განშტოებებით) ჩადებას,
	• „თელავის ხევი“-ს კალაპოტის ორივე სანაპიროზე კედლების ამაღლებას მონოლითური რკინაბეტონის პარაპეტებით. პარაპეტის გაყოლებაზე 45 სმ სიმაღლის ლითონის მოაჯირის მოწყობას. სააკაძის ქუჩის და ქეთევან წამებულის ქუჩის მხრიდან პარაპეტების მოპირკეთებას დახერხილი - 25 მმ სისქის ბაზალტის ბუნებრივი ქვის ფილებით.
	• ძველი ასფალტის საფარის და ბორდიურების დემონტაჟს, სამუშაო დასრულების შემდეგ - ახალი საფარის მოწყობას.
	• მარჯვენა სანაპიროსა (სააკაძის ქუჩა) და მარცხენა სანაპიროზე (ქეთევან წამებულის ქუჩა) ფეხით მოსიარულეთა სივრცის - გაზონის და ორივე სანაპიროს ტერიტორიაზე ავტომატური მორწყვის სისტემების

	მოწყობას; გამწვანებას (ბალახის დათესვა, ყვავილების დარგვა). • 24 ცალი მოსასვენებელი სკამის და 20 ერთეული ნაგვის ურნის დადგმას, • შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის 6 პანდუსის მოწყობას; • სასმელი წყლის 2 შადრევნის მოწყობას (ერთი ქეთევან წამებულის ქუჩაზე, მეორე - სააკაძის ქუჩაზე). • ორივე სანაპიროზე 20 მეტრის ინტერვალით ორნათურიანი ელექტრო განათების ბოძების მონტაჟს. • ტროტუარებზე კომუნიკაციების გადატანითი სამუშაოების დასრულების შემდეგ ასფალტის დაგებას. • სანაპიროზე, სააკაძის ქუჩის მხრიდან არსებული წყაროს (იორდანეს წყარო) რეკონსტრუქციას. მოხდება არსებული წყაროს დემონტაჟი, აშენდება და გადაიხურება ქართული კრამიტით მცირე არქიტექტურული ფორმა. • არსებული საცალფეხო ხიდის დემონტაჟის შემდეგ, ორი მცირე თაღოვანი რკინაბეტონის ხიდის მოწყობას, (ერთი უშუალოდ განთავსდება წყაროსთან, მეორე - მისგან ჩრდილოეთით 60 მეტრის დაშორებით).
ინსტიტუციური სტრუქტურა (მსოფლიო ბანკი)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: აჰმედ ეივეიდა, თანა-ხელმძღვანელი: ხიოლან ვანგი გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე
განხორციელების სტრუქტურა (სესხის ამღები)	განმახორციელებელი ორგანიზაცია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი სამუშაოების ზედამხედველი: JV Steget (Italy) & Estia (Italy) სამუშაოების კონტრაქტორი: შპს „სერპანტინი“
ობიექტის აღწერა:	
იმ დაწესებულების დასახელება, რომლის ქონებაც უნდა იქნას რეაბილიტირებული	თელავის მუნიციპალიტეტი
იმ დაწესებულების მისამართი და ობიექტის მდებარეობა რომლის ქონებაც უნდა იქნას რეაბილიტირებული	ქეთევან წამებულის ქუჩა, ქ.თელავი, თელავის მუნიციპალიტეტი
ვინ არის მიწის მფლობელი? ვინ სარგებლობს მიწით (ფორმალურად/არაფორმალურად)?	მუნიციპალური საკუთრება. ერთი ნაკვეთი ფართობით 20მ^2(საკადასტრო ნომერი 532045080 იჯარით აქვს აღებული ლევან ახალმოსულიშვილს . რეგისტრაციის თარიღი 03.06.2010, ვადა 5 წელი. უშუალოდ ამ ნაკვეთს პროექტი არ ეხება.
ობიექტის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა	ქალაქი გაშენებულია მდინარე ალაზნის აუზში, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე. მანძილი თბილისამდე შეადგენს 158კმ-ს (ან 90კნ თელავი-გომბორის გზით). სიმაღლე ზღვის დონიდან 500m - 800m-ია. კლიმატი – ზომიერი, საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 9C, მაქსიმალური ტემპერატურა 39 C , მინიმალური -16 C; ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ –770 -მმ-ია, (მაქსიმუმი – 990 მმ. მინიმუმი 450მმ). სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს ქ.თელავის ტერიტორიაზე. არხი იწყება უნივერსიტეტის ტერიტორიიდან

	სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 300მ დაშორებით, და კვეთს ქალაქის სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით. მისი ნაწილი ქალაქის ცენტრალურ, მათ შორის ისტორიულ ნაწილზე გადის. არხის მიმდებარე შენობები საცხოვრებელი ან საცხოვრებელი - კომერციული დანიშნულებისაა. უახლოესი საცხოვრებელი სახლები არხიდან დაახლოებით 21 მ-ით არის დაშორებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ სახლებს და არხს შორის მცენარეული ბარიერი არსებობს. საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში ხმაურის და გამონაბოლქვის ძირითად წყაროს სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენენ. გრუნტის წყლების ჰორიზონტი თელავში ღრმაა, წყალი 30-40მ სიღრმეზე ფიქსირდება. სეისმური თვალსაზრისით ტერიტორია 9 ბალიან (MSK64 შკალა) სეისმურ ზონას მიეკუთვნება. ტერიტორიის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი შეადგენს - 0.32. ზედაპირული წყლის ობიექტებიდან პროექტის განხორციელების ზონაში აღსანიშნავია მდ.მაწანწარა, რომელიც ქალაქის დასავლეთით მოედინება და მდინარე . მდინარის კალაპოტი წლის უმეტეს დროს მშრალია. ქალაქის ტერიტორიას კვეთს თელავის არხი, რომლის რეაბილიტაციაც ამ პროექტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. წყალი არხში სეზონურად მოედინება. ისევე როგორც მდ.მაწანწარას კალაპოტი, წლის უმეტეს დროს არხი პრაქტიკულად მშრალია. არხის გაყოლებაზე მცენარეული საფარი ხელოვნურად არის გაშენებული. აქ წარმოდგენილია: ცხენის წაბლი, ჰიმალაის კედარი, ცაცხვი. გვხვდება ვერხვი და ტირიფი. ცხოველთა სამყარო, ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მწირია. გავრცელებული ფრინველებია: ბეღურა, ქედანი, მტრედი, ყვავი, მინდვრის ტოროლა. ხევი წლის უმეტესი დროის განმავლობაში თითქმის მშრალია, შესაბამისად, იქთიოფაუნის არსებობა არ ფიქსირდება.
მასალის (მათ შორის წყლის, ქვის და სხვ) ლიცენზირებული უახლოესი წყაროს ადგილმდებარეობა და მანძილი ობიექტამდე?	მასალით (ინერტული მასალა) უზრუნველყოფა შესაძლებელია უახლოესი ლიცენზირებული კარიერებიდან. მაგ. მდ.თურდოსხევის გაყოლებაზე არსებული კარიერებიდან - დაშორება ობიექტიდან დაახლოებით 4-5კმ-ი; ან კისისხევიდან - დაშორება დაახლოებით 7კმ. კონტრაქტორს შეუძლია გამოიყენოს თავისი მასალა, თუ მას გააჩნია ლიცენზია კარიერის დამუშავებაზე, ან შეუძლია აიღოს ლიცენზია მასალის მოპოვებაზე, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის. ადგილზე ბეტონის დამზადება ნავარაუდევი არ არის (მიახლოებითი მანძილი ბეტონის საწარმოდან 5კმ-ია). ამგვარად, წყლის გამოყენება საჭირო იქნება მხოლოდ მტვრის შემცირების მიზნით, საჭიროებისამებრ, სამუშაო ტერიტორიის მოსარწყავად. ტექნიკური და სასმელი დანიშნულებით წყლის აღება მოხდება ქალაქის წყალმომარაგების სისტემიდან. არხის მომდებარე ტერიტორიის გასამწვანებლად საჭირო მასალა

	შეძენილი იქნება თელავში. აგური, კრამიტი და სხვა მშენებლობისთვის საჭირო მასალის შეძენა მოხდება ლიცენზირებული მომწოდებლისგან.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები, რომლებიც პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული	საქართველოს კანონი **„გარემოს დაცვის შესახებ“** – „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ორგანული (ძირითადი) გარემოსდაცვითი კანონია და შესაბამისად ის წარმოადგენს სხვა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველს. გამომდინარე აღნიშნულიდან არხის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს კანონი **„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“** - კანონის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას. შესაბამისად არხის რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ფაზებზე საჭირო იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რომ მინიმუმადე შემცირდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკ ფაქტორები. საქართველოს კანონი **„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“** – პროექტის განხორციელება, დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებასთან. შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დაცული უნდა იქნას კანონით გათვალისწინებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებები. საქართველოს კანონი **„წყლის შესახებ**„ - კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს წყლის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს არხის ფსკერის და კედლების რეაბილიტაციას. სამუშაოს ნაწილი იწარმოებს არხის კალაპოტში, რომელიც წლის უმეტეს პერიოდში მშრალია, მიუხედავად მისა, სამუშაოების წარმოებისას დაცული უნდა იყოს კალაპოტის დაბინძურების რისკის გამორიცხვის ღონისძიებები. სამუშაოების წარმოების პროცესში ტექნიკის/მანქანების გადაადგილებისას და მიწის სამუშაოების დროს არსებობს ნიადაგის დაზიანების/ხარისხის გაუარესების (დაბინძურების) რისკი. შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს **„ნიადაგის დაცვის შესახებ“** კანონის დებულებები. სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა ან მიწის სამუშაოების განმავლობაში წარმოქმნილი ინერტული მასალების საბოლოო განთავსება წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე წერილობით უნდა იქნას შეთანხმებული ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან.
საზოგადოებასთან კონსულტაციები	

როდის / სად ჩატარდება საზოგადოებასთან კონსულტაციები	ქვე- პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა სამუშაოების დაწყებამდე განხილულ იქნა ბენეფიციარ თემთან საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ქ. თეᲗლავში 2015 წლის 21 იანვარს.
დანართები	
დანართი 1: თელავის საზღვრები, სარეაბილიტაციო ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველი რუკები დანართი 2: ინფორმაცია მიწის საკუთრების შესახებ დანართი 3: ფოტომასალა დანართი 4: საჯარო განხილვის ოქმი	

ნაწილი ბ: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

გარემოსდაცვითი /სოციალური სკრინინგი				
	საქმიანობა/საკითხი	**სტატუსი**		**შემამსუბუქებელი ღონისძიებები**
ნავარაუდევია თუ არა პროექტის განხორციელებისას შემდეგი საქმიანობა?	a. შენობის რეაბილიტაცია	**[X] დიახ**	[ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	b. ახალი მშენებლობა	**[X] დიახ**	[ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	c. ინდივიდუალური საკანალიზაციოა წყალგამწმენდი სისტემა	[ ] დიახ	**[X] არა**	იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	d. ისტორიული შენობა (შენობები) და უბნები	[ ] დიახ	**[X] არა**	იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	e. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ	**[X] არა**	იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	f. სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერებები[2]	[ ] დიახ	**[X] არა**	იხ. ქვემოთ ნაწილი **E**
	g. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ	**[X] არა**	იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	h. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/განკარგვა	[ ] დიახ	**[X] არა**	იხ. ქვემოთ ნაწილი **G**
	i. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	**[X] დიახ**	[ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **H**

1. მიწის შესყიდვა გულისხმობს ხალხის ადგილმონაცვლეობას, საარსებო საშუალებების ცვლილებას, კერძო საკუთრების ხელყოფას, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მიწის შესყიდვა/გადაცემა და ეხება ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ ან კანონიერად ცხოვრობენ ან აწარმოებენ ბიზნეს საქმიანობას (ჯიხურები) იმ მიწაზე, რომლის შესყიდვაც ხდება.
2. ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთ მოყვანილით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავი, მავნე გამხსნელები, ტყვიის საღებავის მოცილება და ა.შ.

ნაწილი გ: შემამსუბუქებელი ზომების გეგმა

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და პერსონალის უსაფრთხოება	a. მშენებლობის და გარემოსდაცვითი საკითხების ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოები და საზოგადოება ინფორმირებულები არიან მოსალოდნელი საქმიანობის შესახებ; b. საზოგადოებას აღნიშნული სამუშაოების შესახებ ეცნობა მედიაში და/ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ობიექტებზე (მათ შორის სამუშაოებისთვის განსაზღვრული ობიექტის ჩათვლით) განთავსებული შესაბამისი შეტყობინებით; c. მიღებულია მშენებლობის და/ან რეაბილიტაციისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვა; d. კონტრაქტორი ოფიციალურად თანახმაა, რომ ყველა სახის სამუშაო განხორციელდეს უსაფრთხო და დისციპლინირებული სახით, რაც ემსახურება მეზობლად მაცხოვრებლებსა და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციას; e. პერსონალის უსაფრთხოების აღჭურვილობა შეესაბამება მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას (ყოველთვის გამოიყენება დამცავი ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ნიღბები და უსაფრთხოების სათვალეები, ფორმები და უსაფრთხო ჩექმები); f. საპროექტო ტერიტორიებზე განთავსებული შესაბამისი საინფორმაციო დაფები მიუთითებს მუშებს შესასრულებელი ძირითადი წესებისა და ინსტრუქციების შესახებ.
A. სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობები	ჰაერის ხარისხი	a. ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად; b. პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; c. ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად; d. არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების ღიად დაწვა ობიექტზე; e. არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; f. სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქნის შემცირების მიზნით.

	ხმაური	a. სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის ზემოქმედებით შესაძლო დისკომფორტი შემცირდება სამუშაო საათების მკაცრი დაცვით- სამუშაო მხოლოდ დღის საათებში იწარმოებს; b. საქმიანობის დროს გენერატორები, საჰაერო კომპრესორები (თუ მათი საჭიროება იქნება) და სხვა მექანიკური აღჭურვილობა დახურული უნდა იყოს. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა განთავსდეს საცხოვრებელი სახლებიდან რაც შეიძლება შორს; c. სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; d. უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშულებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე; e. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; f. არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.
	წყლის ხარისხი	a. კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწყოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც წყალგაუმტარი მასალით უნდა იქნას დაცული წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს. b. მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე; c. მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა, ისე რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ მყარ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით. d. ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი). e. არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა რომელიმე წყლის ობიექტში, გუბურაში ან არხში.
	ნარჩენების განკარგვა	a. სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის განსაზღვრული უნდა იქნას მისი შეგროვებისა და განთავსების ადგილები;

		b. მინერალური სამშენებლო და ნანგრევი ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს ზოგადი ნაგვის, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან, ობიექტზევე დახარისხდეს და შენახულ იქნას სპეციალურ კონტეინერებში; c. სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს, დროებით დასაწყონდეს სპეციალურად გამოყოფილ უბანზე და გატანილ იქნას შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე. კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად უნდა გადაამუშაოს და ხელახლა გამოიყენოს ვარგისი ნარჩენი მასალა (გარდა აზბესტისა).
	მასალების მოწოდება	a. გამოყენებული უნდა იქნეს არსებული ქარხნები, კარიერები, და სამტეხლოები რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ოფიციალური ნებართვა ან მოქმედი ლიცენზია; b. ახალი კარიერის ან სამტეხლოს ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია; c. კარიერი/სამტეხლო ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია; d. მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში. e. განთავსებული უნდა იქნას სიჩქარის შეზღუდვის, შემოვლითი გზის და გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები ტრანსპორტისათვის, საჭიროებისამებრ.
H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ობიექტი შესაბამისად იქნას დაცული, ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ფუნქციონირება - რეგულირებული. რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ▪ განთავსებული უნდა იქნას საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. ობიექტი კარგად ხილული უნდა იყოს, ხოლო საზოგადოება - გაფრთხილებული ყველა შესაძლო საფრთხის შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის რეგულირების სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრეინინგი, განსაკუთრებით კი ტერიტორიაზე შესვლისა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა

		განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხო მისვლა მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან; ▪ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისვლის უზრუნველყოფა; ▪ მოწყობილი უნდა იქნეს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები (ვიწრო გზა) ადგილობრივ საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით.

ნაწილი დ: გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	**რა** (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო ფაზა						
არხის გაწმენდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების და არხში ამოსული მცენარეებისგან; სამშენებლო ნარჩენების მართვა.	• ნარჩენების ადგილზე დროებით დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ უბანზე; • ნარჩენების დროული გატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე; • ნარჩენების გადატანა დახურული სატვირთო ტრანსპორტით გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით.	არხი და მიმდებარე ტერიტორია.	• ვიზუალური კონტროლი; • ნარჩენების გატანის ხელშეკრულების შემოწმება.	• არხის რეაბილიტაციი-სთვის მომზადების ეტაპზე და სამუშაოების წარმოების პროცესში.	• ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; • ნარჩენების არასათანადოდ განსათავსების გამო დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მგფ
არხში მიმდინარე სამშენებელო სამუშაოები.	• სამუშაოს წარმოება დღის საათებში; • ტექნიკის გამართულობა და ჩართული ძრავით უქმად გაჩერების აკრძალვა; • პერსონალის აღჭურვა სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ამ საშუალებების გამოყენება.	არხი და მიმდებარე ტერიტორია.	• ვიზუალური კონტროლი.	• პერიოდულად; • საჩივრების შემთხვევაში.	• მოსახლეობის დისკომფორტის თავიდან აცილება; • გარემოს დაბინძურების მინიმიზაცია; • პერსონალის უსაფრთხოება.	მგფ

კომუნიკაციების გადატანა	• სერვისის შეზღუდვის შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება და სერვისის შეწყვეტის ხანგრძლივობის მინიმუმდე დაყვენა; • კომუნიკაციების გადატანისას (მილები, კაბელები) პერსონალის მიერ უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა.	არხი და მომდებარე ტერიტორია	ვიზუალური კონტროლი	• კომუნიკაციების გადატანის პროცესში.	• ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაოთა წარმოებით გამოწვეული დისკომფორტის შემცირება; • სამუშაოს წარნოების პროცესში პერსონალის ტრავმატიზმის და ჯანმრთელობისადმი ზიანის მიყენების შესაძლებლობის თავიდან აცილება.	მგფ
არხის გაყოლებაზე ტროტუარების ასფალტის საფარის შეკეთება	• ლიცენზირებული მწრმოებლისგან ასფალტის შეძენა; • სამუშაო უბნებზე მოძრაობის კონტროლი; • ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება.	• კონტრაქტორის ოფისი; • სამუშაი უბანი.	• დოკუმენტაციის შემოწმება; • ვიზუალური კონტროლი.	• სამუშაოს დაწყებამდე; • სამუშაოთა წარმოების პროცესში.	• გარემოსადმი არალეგალურად ან არასათანადოდ წარმოებული მასალის მოპოვების შედეგად ზიანის მიყენების თავიდან აცილება; • ადგილობრივ სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედების და მოსახლეობის დისკომფორტის მინიმიზაცია; • ტრანსპორტის მოძრაობის, ფეხით მოსიარულეთა და მუშა ხელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფა.	მგფ
ოპერირების ფაზა						
აღდგენილი არხის ფუნქციონირება	• არხის ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება.	აღდგენილი მონაკვეთის ფარგლებში	ვიზუალური კონტროლი	• სტიქიური მოვლენების (ძლიერი წვიმა) შემდეგ.	• არხის ტექნიკური მდგომარეობის შესანარჩუნებლად; • წყლის ინფილტრაციის შედეგად დატბორვის და მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილების მიზნით.	თელავის მუნიციპალიტეტი
არხის გაყოლებაზე საჯარო სივრცის ექსპლუატაცია	• მცენარეული საფარის მდგომარეობა.	არხის მიმდებარე გაზონების ტერიტორიაზე	ვიზუალური კონტროლი	• სეზონურად	• ტერიტორიის ესთეტიკური იერსახის შესანარჩუნებლად	თელავის მუნიციპალიტეტი

დანართი 1. რუკები



ქ.თელავის ადმინისტრაციული საზღვრები


მდინარე თელავის ხევის რეაბილიტაციის სიტუაციური გეგმა - I ნაწილი
SITUATION PLAN OF "TELAVIS KHEVI" RIVER REHABILITATION -PART I
BOTTOM ARRANGEMENT BY MONOLITHIC REINFORCED CONCRETE
RIVERBED WALL RENOVATION BY SHOTCRETE
PEDESTRIAN ENVIRONMENT ARRANGEMENT
RIVERBED WALL RENOVATION BY SHOTCRETE
THICKNESS 30-50mm
PEDESTRIAN ENVIRONMENT
ARRANGEMENT ON THE RIGHT
AND THE LEFT BANKS OF THE RIVER
BOTTOM ARRANGEMENT BY MONOLITHIC REINFORCED CONCRETE
TOTAL LENGTH 810.0 m
AREA 4050.0m²
RIVERBED WALL RENOVATION BY SHOTCRETE
THICKNESS 30-50mm

დანართი 2. მიწის მფლობელობა - საკადასტრო მონაცემების საფუძველზე სახელმწიფო და კერძო საკუთრების მიწების იდენტიფიცირება



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010561779
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *53 20 45 080*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *20* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

მომზადების თარიღი: 15.04.10



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: ინდექსი 0102 ქ. ნაოყალევსაქ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
თელავის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. თელავი, 2200 ნიკეფორის ქ. № 35
www.nacr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 53.20.45.080

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882010639209 - 03/06/2010 16:54:04	09/06/2010 11:43:48

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თელავი	ქ. თელავი		
53	20	45	080

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:20.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:53.20.45.053;

მისამართი: თელავი , ქუჩა ქეთევან წამებული

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882009175904 , თარიღი 19/06/2009 15:26:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/06/2009

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N508 , დამოწმების თარიღი:19/06/2009 , თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
თელავის მუნიციპალიტეტი

მესაკუთრე:	აღწერა:
თელავის მუნიციპალიტეტი	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882010639209 თარიღი 03/06/2010 16:54:04	მეაღნაგე: თელავის მუნიციპალიტეტი მოაღნაგე: ლევან ახალმოსულიშვილი N20001023460; საგანი:20 კვ.მ.; ხელშეკრულების დადების თარიღი:03/06/2010; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/06/2010	სასყიდლიანი აღნაგობის უფლების ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი03/06/2010, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თელავის სარეგისტრაციო სამსახური

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე ვადიან საკუთრებაში არსებული მაგრამალური ტერიტორიის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეალიზაციო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში გვხვდება ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე ელექტრონულად წარმოადგენილი განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დეკეკეკეშირეკი: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეიძლება ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან „სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

დანართი 3. ფოტომასალა

„თელავის ხევი“-ს მარჯვენა სანაპიროზე არსებული წყარო
სააკაძის ქუჩის მხრიდან

„თელავის ხევი“-ს მარცხენა სანაპირო ქეთევან წამებულის ქუჩის მხრიდან

„თელავის ხევი“-ს კალაპოტის არსებული მდგომარეობა

„თელავის ხევი“-ს კალაპოტის არსებული მდგომარეობა

„თელავის ხევი“-ს კალაპოტში არსებული საინჟინრო კომუნიკაციები

„თელავის ხევი“-ს მარცხენა სანაპირო ქეთევან წამებულის ქუჩის მხრიდან

„თელავის ხევი“-ს მარჯვენა სანაპირო სააკაძის ქუჩის მხრიდან

დანართი 4: საჯარო განხილვის ოქმი

21 იანვარი, 2015 წელი

ქ. თელავი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული განვითარების პროექტი

ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული „თელავის ხევი“ -ს

რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო

განხილვა

2015 წლის 21 იანვარს ქ. თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ჩატარდა ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული „თელავის ხევი“ -ს რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

<u>შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. თელავის მერიის წარმომადგენელები:</u> გიორგი ყურაშვილი; დავით წიქარიძე; მერაბ ზაალიშვილი და ზურაბ არსენიშვილი;

<u>ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები:</u> ლ. მუმალური, ფარნაოზ რომინაური, გიორგი შენგელიძე, მარიამ ცისკარიშვილი, გურამ პაპალაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, გიგა თუშიშვილი, გიორგი სოსებაშვილი, ნათია ჩიკვაიძე, ლელა

ლეკიაშვილი, მაია ფირანიშვილი, ციცინო ჯავახაშვილი, მარიან თვალაშვილი, თამაზ ბატიაშვილი, დავით ნინოშვილი, გივი ტაბარუკიშვილი, გოგი ტატიშვილი, ნიკოლოზ სულხანიშვილი, დავით მარაშვილი, გიორგი სიბაშვილი, გიორგი ჭონიაშვილი, თამარ თამარაშვილი, ნანა ჯავახიშვილი, მერი არჯევანიშვილი.

<u>საზედამხედველო კომპანია სტეგეტის წარმომადგენელი:</u>

გიორგი ოქრუაშვილი;

<u>მშენებელი კონტრაქტორის შპს. „სერპანტინის“ წარმომადგენელი:</u>

გიორგი ჯეჯილაშვილი;

<u>მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელები:</u>

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;
თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი;
ჯუღა სიხარულიძე - პროგრამის კოორდინატორი.

შეხვედრაზე ნინო პატარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტების მიზნებისა და იმ სამშენებლო სამუშაოების შესახებ რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში. მან ისაუბრა შეხვედრის მიზნების შესახებ და საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისთვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა. მან მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
საზოგადოებამ გულისტკივილი გამოხატა, რომ პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ ხევის შუა ნაწილის რეაბილიტაციას. აღნიშნეს, რომ არხის რეაბილიტაცია ვერ გამოიღებს დადებით შედეგს თუ არ იქნება გატარებული შესაბამისი ზომები „თელავის ხევის“ მთლიანი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად.	მოსახლეობას მერიის წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ ეთანხმებიან მათ მოსაზრებას, დაინტერესებული არიან მოიძიონ სახსრები „თელავის ხევის“ მთლიანად რეაბილიტაციისათვის და ატარებენ შესაბამის მოლაპარაკებებს და ღონისძიებებს აღნიშნული საკითხის დროულად გადასაწყვეტად .
მიეცემა თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების საშუალება?	მშენებელი კონტრაქტორის წარმომადგენელმა საზოგადოებას განუმარტა, რომ სამშენებლო სამუშაოებზე კომპანია სიამოვნებით დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას. გარდა იმ სპეციალისტებისა, რომელთაც აქვთ სამშენებლო ტექნიკაზე მუშაობის გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია.
სამშენებლო სამუშაოებისას ხომ არ მოხდება არხის გასწვრივ არსებული ხე მცენარეების დაზიანება.	საზოგადოებას განემარტა რომ სამუშაოების საწარმოებლად ტუ საჭირო გახდება ნარგავების მოჭრა, მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია საკითხი შეათანხმოს ქ. თელავის მერიის შესაბამის სამსახურთან, და უზრუნველყოს შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, ამავე სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ ქუჩების რეაბილიტაცია დასრულდება დროულად.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია ქვემოთ.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტის ნინო პატარაშვილის მიერ.

21 იანვარი, 2015.

ფოტოები

რეგიონული განვითარების პროექტი

ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული "თელავის ხევი"-ს რეაბილიტაციის ქვე-პროექტის

გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

21 იანვარი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	577 222-118 [illegible]	
2.	[illegible]	[illegible]	595 225702 gogitaugruashvili@yahoo.com	
3.	[illegible]	[illegible] „[illegible]"	599 486400 giorgijejilashvili@yahoo.com	
4.	[illegible]	[illegible]	555 227 255	
5.	[illegible]	[illegible]	27.18.33	
6.	[illegible]	[illegible]	577740640	
7.	[illegible]	[illegible]	558-48-24-80	

8.	[illegible]	[illegible]	55140-48-58	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	599512054	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	577480042	[illegible]
11.	[illegible]	[illegible]	5-91-677-555	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	570-108-211	[illegible]
13.				
14.	[illegible]	[illegible]	568 02 20 63	[illegible]
15.	[illegible]	[illegible]	599108450	[illegible]
16.	[illegible]	[illegible]	591116511	[illegible]
17.	[illegible]	[illegible]	551930486	[illegible]
	[illegible]	[illegible]	595970959	[illegible]
	[illegible]	[illegible]	599-05-07-03	[illegible]

18.	[illegible]	[illegible]	568 44 56 88	
19.	[illegible]	[illegible]	591314114	
20.	[illegible]	[illegible]	591-33-00-23	
21.	[illegible]	[illegible]	595919343	
22.	[illegible]	[illegible]	593282805	
23.	[illegible]	[illegible]	557994411	
24.	[illegible]	—	574400400	
25.	[illegible]	[illegible]	599952727	
	[illegible]	[illegible]	592272940	
	[illegible]	—	571871035	
	[illegible]	—	555-10-09-47	
	[illegible]	[illegible]	27 24 67	